## საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-1046

09/07/2021 ქ. თბილისი

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძის“ თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 21-ე პუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძის“ თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა №31 (02.07.2021);
2. ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძემ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №31 (02.07.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძეს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს ინდ. მეწარმე „გივი დეკანოიძის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი